

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დავით ჩერქეზიშვილი

„რეგიონული ბიზნესის განვითარების თანამედროვე
მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში“

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება,
შიფრი 02

თბილისი -2016

დისერტაცია შესრულებულია სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი ე. ბარათაშვილი

რეცენზენტები:

დაცვა შედგება 2016 წლის "____" _____" _____ საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია _____ მისამართი 0175, თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი

/ს.ხიზანიშვილი/

AVSTRACT

Thesis "Present State and Prospects of Regional Business Development in Georgia" concerns to quite significant at the present problem.

The work consists of title page, signature page, copyright page, and summary in Georgian and English, context, tables, the list of annexes and main text.

The introduction grounds and reviews the significance of study, the aim and goals of research, present state of research, objective of research, practical meaning, results or innovations etc.

The first chapter of the thesis "Theoretical-Methodological Basis of Regional-Economic Policy" considers the following issues:

1. Theory and methods of regional-economic policy;
2. oversea experience of regional economic policy;
3. Regional business environment and social field as enterprise development bases in region.

This chapter first considers concept and status of region. There are different explanations and "Particular Territorial Unit with its Specific Agricultural Complex Formation and Population» is more acceptable.

The thesis notes that a regional economic policy should be distinguished from a regional policy. However both are the part of a state policy. Therefore there is the state regional policy and the local government works on the recent one. The first is always more than the second. The goal of the both should be interaction.

The same chapter characterizes oversea experience of regional economic policy development. There are materials from France, UK, US, Germany, Italy, Spain, Sweden, Czech Republic, China Russia etc.

The third topic of the first chapter considers social field and business layer phenomena.

The chapter concludes that an advantage of business development should be focused on business layer study in the regions.

The second chapter of thesis "Present Condition of Business Development in Adjara" considers business development condition in Adjara. In General, Adjara is not considered as backward region. Meanwhile there are 5 regions in Adjara (Kobuleti, Khelvachauri, Kedi, Khulo, and Shuakhevi) and 1 city (Batumi). As indicated Business development review Batumi has high development level, Kobuleti middle development level, while the rest are economically backward regions. Butumi's share in production turnover is 76,6 % is, Kobuleti – 13,4% Khelvachauri 9,2% while share of Kedi, Khulo and Shuakhevi region is on average 2.6%. In 2005 – 2012, production turnover increased 4 times in Adjara. At the same time it increased twice in Khelvachauri, 2,8% in Shuakhevi and 86,7 in Khulo Regions.

Turnover with local goods is provided by 64.8% in Adjara . Among them it makes 81.7% in Batumi, 35% in Kobuleti 6.2% in Keda, 9.4 in khulo, etc. It means that turnover basically includes imported goods and there is no local production in Keda, Shuakhei and khulo regions. Due to lack of production there is unemployment as well, and obviously rate of living is low.

Study of business development at Adjara interregional section the thesis concludes that Kedi, Khulo Shuakhevi and Khelvachauri Regions are economically backward and protection economic policy is necessary for them. That will keep population at the place and stop the migration. Creation of stimulating business environment for a middle and small business is considered as that type of measure. The related resources can be found in every above mentioned region - Breeding, plant growing, vineyard, silk culture, nut and kiwi growing, Medicinal plants and wild fruits - berry collection, family hotels, tourism etc. The local population might start the business if government makes conditions for it. The same chapter describes in details what kind of resource potential has seaside and total area as well as the business priority places are fixed according to the regions.

The third chapter of thesis –“Enterprise Development with Business Incubators in Adjara” is dedicated to working out business development frame-model with business incubators foundation –development.

The chapter consists in 9 units.

The most important among them is the 9rd component i.e. Prospects of founding and development business incubators in Adjara region. It is created by author framework-model that involves in fulfillment of 3 sub-projects in Adjara:

- The first - Business incubators in Batumi approximate date of implementation 2015;
- The second – business incubators in Kobuleti and Khelvachauri (implementation approximate date 2016);
- The third – Business incubators in Keda, Shuakhevi and Khulo implementation date 2017.

The thesis calculates the expenditure of one business incubator during 3 months work. In case of placing 30 client-enterprise it will cost 796100 USD (25677 USD per enterprise). The Adjara administrative bodies should take in to account the amount for this purpose.

At the end of thesis there are summary of research and conceptual opinions.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა. ყველასათვის ცნობილია, რომ ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების და განვითარების ქვაკუთხეა. მას გადამწყვეტი როლი განეკუთვნება ქვეყნის რესურსული პოტენციალის ამოქმედების, ეკონომიკის სტაბილური, დინამიკური განვითარების, მოსახლეობის დასაქმების, მათი შემოსავლების დონის ამაღლების და სხვა სოციალური პრობლემების გადაჭრის საქმეში.

ბიზნესის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში. ეს ის პერიოდია, რომელშიც 1991 წლიდან ჩვენი ქვეყანა იმყოფება და მიუხედავად ამდენი წლების გასვლისა, საქართველოში ბიზნესი დღესაც კი არ არის სათანადოდ განვითარებული. რისი დასტურია საქართველოში არსებული სიღარიბე.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (რაჭა-ლეჩხუმი, გურია, სამცხე-ჯავახეთი) და რეგიონის ნაწილში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სვანეთის ნაწილი, კახეთის რეგიონის თუშეთის ნაწილი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მთიანეთის ნაწილი, აჭარის რეგიონის ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს და შუახევის რაიონები). ეს ტერიტორიები ფაქტიურად დაცარიელდა მოსახლეობისაგან ქვეყნის არასწორი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის გამო.

ამჟამად საქართველოში არსებობს განვითარებული რეგიონები (თბილისის რეგიონი), საშუალოდ განვითარებული რეგიონები (ქვემო ქართლი, იმერეთი, აჭარა, შიდა ქართლი) და დეპრესირებული რეგიონები და რეგიონის ნაწილები, რომელთა ეკონომიკის განვითარების დონის გამოთანაბრება პირველი რიგის ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოში.

ნებისმიერ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, ეს შეიძლება მიღწეული იყოს მხოლოდ ბიზნესის, კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით, რადგანაც ამ ტიპის საწარმოები მუშაობენ ადგილობრივ ნედლეულზე, არიან მობილური და კარგად ესადაგებიან ბაზრის მოთხოვნებს, არ სჭირდებათ დიდი

საწყისი კაპიტალი და ა. შ. რადგან "სხვადასხვა რეგიონს ბიზნესის განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობები აქვთ, ამიტომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პოლიტიკა მართვის რეგიონულ დონეზე უნდა შემუშავდეს, ისე როგორც ეს ხდება იტალიაში, ესპანეთში და სხვაგან".¹

სამწუხაროდ, იმის მიუხედავად, რომ ქართველი მეცნიერები (მხედველობაში მაქვს პროფესორები ნ. ჭითანავა, დ. მოურავიძე, ლ. ჩიქავა და სხვები), ამის შესახებ ჯერ კიდევ 15-16 წლის წინ წერდნენ, ჩამორჩენილი, დეპრესირებული რეგიონებისთვის პროტექციონისტული ღონისძიებები საქართველოში არ გატარდა, რის გამოც მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა - სტატუსის სიმწირემ და მისდამი გულგრილობამ, გამოიწვია ამ რეგიონების და რეგიონების ნაწილების მოსახლეობის "კიდევ უფრო გაღარიბება და სოციალური გარიყვა".²

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ეს პრობლემა დღეს კიდევ უფრო მეტად აქტუალურია. მისი მოუგვარებლობა, არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ეროვნული საფრთხის პრობლემას ქმნის - საქართველო იცლება ქართველი მოსახლეობისაგან. ეს პროცესი განსაკუთრებით დამაფიქრებელია საზღვრებისპირა რეგიონებში და რაიონებში. ასეთია სვანეთი, რაჭა, სამცხე-ჯავახეთი, თუშეთი, აჭარის მთის სოფლები და სხვა.

სადისერტაციო ნაშრომი სწორედ რეგიონში ბიზნესის განვითარების პერსპექტივებს ეძღვნება და აჭარის რეგიონის მაგალითზე იძლევა ამ პრობლემების დაძლევის გარკვეულ მცდელობას.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. თეორიულად, ზოგადად ბიზნესიც და რეგიონული ბიზნესიც საკმაოდ შესწავლილია, როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერების მიერ. ჩვენთვის ცნობილია ამ საკითხებისადმი მიძღვნილი (მთლიანად ან ცალკეული ქვესაკითხების ჭრილში) ე. ბარათაშვილის, ნ. ჭითანავას, დ. მოურავიძის, ზ. ლუდუშაურის, ჯ. ზარანდიას, ა. აბრალავას, ვ. გორფინკელის, ა. ბლინოვის, ო. შურღაიას, უ. სამადაშვილის, ო. ქემელაშვილის, გ. გრინბერგის, ვ. ლექსინის, ჟ. ბახტლერის, შ. შტულბერგის და სხვათა შრომები. თუმცა, უნდა ავღნიშნოთ, რომ ცალკე აღებულ რეგიონში, კერძოდ, კი დეპრესირებულ რეგიონში

¹ნ. ჭითანავა, *გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები*, თბ., 1997, გვ. 293.

²ც. ლომაია, ნ. ზარანდიე, *მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები საქართველოში*, ჟ. "საქართველოს ეკონომიკა", №6, 2008, გვ. 79.

ან რეგიონის ნაწილში ბიზნესის განვითარების კომპლექსური გამოკვლევა და ღონისძიებების დასახვა მისი ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ საქართველოში ჯერ არ მომხდარა. მოცემულ ნაშრომში სამუშაო ჩატარებულია აჭარის რეგიონში.

კვლევის მიზანი და ამოცანები. გამოკვლევის უმთავრესი მიზანი იყო აჭარის რეგიონში ბიზნესის განვითარების მდგომარეობის შესწავლა შიდარაიონულ ჭრილში, პრობლემის აღმოჩენა და ჩამორჩენილი რაიონების განვითარების ღონის გამოთანაბრებისთვის ღონისძიებების დასახვა.

ამ მიზნის მისაღწევად ჩემი სადისერტაციო ნაშრომის წინაშე შემდეგი ამოცანები იდგა:

- შემესწავლა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგია;
- დამეხასიათებინა საზღვარგარეთის ქვეყნებში აპრობირებული რეგიონული პოლიტიკა;
- შემესწავლა რეგიონის სოციალური სივრცის და ბიზნეს-შრის თეორია;
- დამეხასიათებინა საქართველოში ბიზნესის განვითარების რეგიონული ასპექტები;
- გამომეკვლია აჭარაში ბიზნესის განვითარების მდგომარეობა შიდარაიონულ ჭრილში (ბათუმი, ქობულეთი, ქედა, შუახევი, ხელვაჩაური, ხულო) და შემეფასებინა იგი;
- შემესწავლა აჭარის რესურსული პოტენციალი და გამომეკვლია მის ბაზაზე ბიზნესის პრიორიტეტული მიმართულებები;
- შემემუშავებინა აჭარის რეგიონში ბიზნესის წარმატებული განვითარების კონცეფტუალური მოდელი.

ჩემს სადისერტაციო ნაშრომში ყველა ეს ამოცანები შესრულებულია.

კვლევის მეთოდოლოგია. ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად მიჩნეული მაქვს ეკონომიკის თეორია, ბიზნესის თეორია, კრიზისების თეორია, საქართველოს საკანონმდებლო აქტები, ცალკეულ მეცნიერთა თეორიული და პრაქტიკული ნაშრომები. კვლევა ჩავატარე ლოგიკური, ანალიტიკური და ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

კვლევის ობიექტი და საგანი. ნაშრომში კვლევის საგანია ზოგადად რეგიონში ბიზნესის განვითარება, ობიექტი კი არის აჭარის რეგიონში ბიზნესის განვითარება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეებია:

- შესწავლილია აჭარის რეგიონის ბუნებრივ რესურსული პოტენციალი აჭარის რაიონების - ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, ხულო და შუახევი ჭრილში. ეს საჭირო იყო იქ სამომავლოდ ბიზნესის პრიორიტეტების გამოსაკვეთად.
- შედგენილია სამი პროექტის - "ბიზნეს-ინკუბატორები ქ. ბათუმში", "ბიზნეს-ინკუბატორები ქობულეთში და შუახევში", "ბიზნეს-ინკუბატორები ქედასა, ხულოსა და შუახევში" მუშა-პროგრამა.
- მოცემულია ბიზნეს-ინკუბატორების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის კონცეფცია.
- კლიენტთა რაოდენობიდან გამომდინარე განსაზღვრულია ბიზნეს-ინკუბატორების გასახსნელად საჭირო რესურსები.
- აჭარის თითოეული რაიონისთვის განსაზღვრულია ბიზნეს-ინკუბატორის პროფილი (სპეციალიზაცია).
- დასაბუთებულია აჭარის მთავრობის და მისი რაიონული მუნიციპალიტეტების ჩართულობის საჭიროება ამ საკითხში, როგორც მისი ორგანიზების დონეზე, ისე დაფინანსების საკითხში.

დასაბუთებულია აჭარის მთავრობის და მისი რაიონული მუნიციპალიტეტების ჩართულობის საჭიროება ამ საკითხში, როგორც მისი ორგანიზების დონეზე, ისე დაფინანსების საკითხში **ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება.** ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში აჭარის რეგიონში ბიზნესის განვითარების ანალიზის შედეგებზე გაკეთებულია პრაქტიკული დასკვნები და რეკომენდაციები.

კვლევის შედეგების აპრობაცია. ნაშრომის ცალკეული ნაწილები და ჩემი, როგორც მისი ავტორის მოსაზრებები აჭარაში ბიზნესის განვითარების საკითხზე გამოქვეყნებული მაქვს ჟურნალებში და საკონფერენციო მასალებში:

1. ჩერქეზიშვილი დავითი, რეგიონული სოციალური სივრცე და ბიზნეს-გარემო, როგორც რეგიონში მეწარმეობის განვითარების საფუძველი,
2. ჩერქეზიშვილი დავითი, საქართველოში ბიზნესის განვითარების რეგიონული ასპექტები,

3. ჩერქეზიშვილი დავითი, აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების პერსპექტივა,
4. ჩერქეზიშვილი დავითი, აჭარის რესურსული პოტენციალი და მის ბაზაზე ბიზნესის პრიორიტეტულ მიმართულებათა გამოკვეთა,

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე დაბეჭდილი 157 გვერდისგან. მოიცავს შესავალს, სამ თავს და დასკვნას. ნაშრომს თან ერთვის 101 დასახელების ლიტერატურის სია. ნაშრომში მოცემულია 18 ცხრილი, 11 ნახაზი და 5 დანართი.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, დახასიათებულია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა, გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანები, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა, ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე, ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია ამ პრობლემის ხაზით არსებული ძირითადი ლიტერატურა და პასუხგაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ, რა ალტერნატიული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემის გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული მოცემულ ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში - *"რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები"* - განხილულია სამი საკითხი:

1. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორია და მეთოდოლოგია;
2. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება;
3. რეგიონული სოციალური სივრცე და ბიზნეს გარემო, როგორც რეგიონში მეწარმეობის განვითარების საფუძველი.

ნაშრომის ამ თავში უპირველესად განხილულია რეგიონის ცნება და სტატუსი, მოცემულია მისი სხვადასხვა ავტორისეული (ე. ბარათაშვილის, ი. მესხიას,

ი. არჟენოვსკის და სხვათა) განმარტებები და ყველაზე მისაღებად ჩათვლილია მისი ასეთი განმარტება: "რეგიონი არის გარკვეული ტერიტორიული წარმონაქმნი თავისი სპეციფიკური სამეურნეო კომპლექსით და ასევე მოსახლეობით".

ნაშრომში აღნიშნულია, რომ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა განვასხვავოთ საერთოდ რეგიონული პოლიტიკისგან, თუმცა, ერთიც და მეორეც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია. არსებობს სახელმწიფოთა რეგიონული პოლიტიკა და არსებობს ადგილობრივი რეგიონული პოლიტიკა. ამ უკანასკნელს რეგიონის ადგილობრივი მთავრობა ამუშავებს. პრიორიტეტულობის თვალსაზრისით პირველი მეტია მეორეზე. ამ ორივე პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ურთიერთავსებადობა. რეგიონული პოლიტიკა ან ზოგადსისტემური მეთოდით ხორციელდება, ანდა სელექციური მეთოდით. პირველისთვის დამახასიათებელია რეგულაციური, კონკურენტული და შერეული ტიპები, სელექციური მეთოდი კი ნიშნავს შერჩევითი პოლიტიკის გატარებას, რომელიც შეიძლება იყოს მხარდამჭერიც (დეპრესირებული რეგიონებისთვის) და შემზღუდველიც (მაღალორგანიზებული რეგიონებისთვის).

ნებისმიერ ვქვეყანაში და მათ შორის საქართველოში რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის საგანს ის პრობლემები წარმოადგენენ, რომლებიც ამ რეგიონებს აქვთ. რადგან, ეს პრობლემები სხვადასხვანაირია, ამდენად ეკონომიკური პოლიტიკის ობიექტები რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. საქართველოს თორმეტივე რეგიონში სხვადასხვა პრობლემებია გადასაჭრელი. ამდენად თითოეულში უნდა გატარდეს მისი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა. ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს რომელიმე რეგიონს, გარდა თბილისის რეგიონისა, განვითარების შემზღუდველი სელექციური პოლიტიკა სჭირდება. ყველა დანარჩენს, ზოგს მეტად და ზოგს ნაკლებად, მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება ესაჭიროებათ.

ნაშრომის ამავე თავში დახასიათებულია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება. მოცემულია მდიდარი მასალა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, შვედეთის, ჩეხეთის, ჩინეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან. ამ ქვეყნებს არა აქვთ ერთნაირი რეგიონული პოლიტიკა და საერთოდაც მსოფლიოში არ არსებობს უნიფიცირებული რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, რადგანაც რეგიონები

ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეკონომიკის ზრდის პოტენციალით. მაგრამ ყველა ამ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ეყრდნობა ასეთ თეზას: "ძლიერი ცენტრი - ძლიერი რეგიონები, ძლიერი რეგიონები - ძლიერი ცენტრი".

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავის მესამე პარაგრაფში საუბარია რეგიონის სოციალურ სივრცეზე და ბიზნეს-შრის ფენომენზე. სოციალურ სივრცეში ადამიანების ადგილს განსაზღვრავს მათი განათლება, შემოსავლები, ძალაუფლება ხელისუფლებაში და სხვა. ამ ნიშნების მიხედვით სოციალური სივრცე სტრატეგად არის დაყოფილი (ელიტა, საშუალო ფენა და ღარიბები). სტრატეგს შორის პროპორცია სხვადასხვანაირია. ელიტა ფლობს დიდ კაპიტალს და ხელისუფლებაში ძალაუფლებას, საშუალო ფენა - მცირე კაპიტალს, ღარიბები კი უქონელნი არიან. შედეგად, ბიზნესში ჩართვა შეუძლია მხოლოდ პირველ ორ სტრატას. პირველს შეუძლია მისი დაფინანსება, მეორეს კი ამ დაფინანსებით მისი წარმართვა. ბიზნესში ჩართულ ადამიანთა ერთობლიობას ბიზნეს-შრე ეწოდება, და, რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო ძლიერია ქვეყანა, რეგიონი და თვით ამ ადამიანთა ოჯახებიც.

ნაშრომის ამ თავში გაკეთებულია დასკვნა, რომ რეგიონში ბიზნესის განვითარების პერსპექტივა ბიზნეს-შრის გამოკვლევას და მისი ზრდის პოტენციალს უნდა დაეფუძნოს.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში - ***"ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა აჭარის რეგიონში"*** - შესწავლილი და გამოკვლეულია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოში ბიზნესის განვითარების მიმოხილვითი ანალიზი და მასში აჭარის რეგიონის ადგილის და როლის წარმოჩენა;
2. ბიზნესის განვითარების ანალიზი და შეფასება აჭარაში შიგარაიონულ ქრილში;
3. აჭარის რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის დახასიათება და მის ბაზაზე ბიზნესის პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა.

ნაშრომის ამ თავში 2005-2012 წლების პერიოდში გაანალიზებული და შეფასებულია ბიზნესის განვითარების მდგომარეობა საქართველოში რეგიონულ ქრილში და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები:

- რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 4-ჯერ არის გაზრდილი, მაგრამ მათი 70% არ მუშაობს;
- ბრუნვაც და პროდუქციის გამოშვებაც ქვეყანაში 5-ჯერ არის გაზრდილი, მაგრამ ეს არ ეხება ყველა რეგიონს. ქვეყანას აქვს დეპრესირებული რეგიონები, სადაც ეს მაჩვენებლები ნაკლებად არის გაზრდილი (რაჭა-ლეჩხუმი - 157,7%, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 256,4%, გურია - 318,1%, სამცხე-ჯავახეთი - 313,0%, მცხეთა-მთიანეთი - 315,2%). აჭარაში სამეწარმეო ბრუნვაც და პროდუქციის გამოშვებაც 4-ჯერ არის გაზრდილი. როგორც ბრუნვაში, ისე პროდუქციის გამოშვებაში პირველ, მეორე და მესამე ადგილებს ქ. თბილისი (74,5%), ქვემო ქართლი (6%) და აჭარის რეგიონი (5,6%) ინაწილებენ;
- 2005-2012 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში - 37,4%-ით არის გაზრდილი. მათ შორის თბილისში - 77,4%-ით, აჭარაში - 48,9%-ით, მცხეთა-მთიანეთში 5,3%-ით, სამცხე-ჯავახეთში - 6,5%-ით და ა. შ. დასაქმებულთა რიცხვი შემცირებულია გურიაში და რაჭა-ლეჩხუმში. ამან გამოიწვია ამ რეგიონებში უმუშევრობის ზრდა და მოსახლეობის სიღარიბის კიდევ უფრო გამწვავება;
- საქართველოს რეგიონების არათანაბარი განვითარება და დეპრესირებული რეგიონების არსებობა მოითხოვს მათი ეკონომიკურ განვითარების დონის გამოთანაბრებას, რაც მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით უნდა განხორციელდეს.

ნაშრომის ამავე თავში გაანალიზებული და შეფასებულია აჭარის რეგიონში ბიზნესის განვითარების მდგომარეობა შიდარაიონულ ჭრილში. მთლიანათ აჭარა არ ითვლება ჩამორჩენილ რეგიონად, მაგრამ აჭარას აქვს 5 რაიონი (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს და შუახევის) და ერთი ქალაქი (ქ. ბათუმი), რომელთა ჭრილში ბიზნესის განხილვამ აჩვენა, რომ ქ. ბათუმი მაღალგანვითარებულია, ქობულეთი საშუალოდ განვითარებული, ხოლო ხელვაჩაურის, ხულოს, ქედის და შუახევის რაიონები - ეკონომიკურად ჩამორჩენილი რაიონები. ქ. ბათუმზე მოდის სამეწარმეო ბრუნვის 76,8%, ქობულეთზე - 13,4%, ხელვაჩაურზე - 9,2%, ხოლო ქედასა, ხულოსა და შუახევის რაიონებში საშუალოდ - 2,6%. 2005-2012 წლებში სამეწარმეო ბრუნვა აჭარაში 4-ჯერ არის გაზრდილი, ასეთ დროს იგი მხოლოდ 2-

ჯერ არის გაზრდილი ხელვაჩაურში, 2,8-ჯერ ქედაში, 88,5%-ით შუახევში და 86,7%-ით ხულოს რაიონში.

აჭარის რეგიონში სამეწარმეო ბრუნვა ადგილობრივი საქონლით უზრუნველყოფილია 64,8%-ით. მათ შორის ბათუმში იგი შეადგენს 81,7%-ს, ქობულეთში 35%-ს, ქედაში 16,2%-ს, ხულოში 9,4%-ს და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრუნვა ძირითადად დასაქონლებულია იმპორტული საქონლით და ადგილობრივი წარმოება ქედას, შუახევსა და ხულოს რაიონებში ფაქტიურად არ არსებობს. რადგან არ არსებობს წარმოება, არ არსებობს დასაქმებაც და ბუნებრივია, დაბალია ცხოვრების დონე, რადგან ცნობილია, რომ "რაც მაღალია წარმოების დონე, მით მაღალია ქვეყნის კეთილდღეობა".¹ ამის შედეგად ინტენსიურად მიმდინარეობს აჭარის მთიანი სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია (დაცარიელებული სოფლები, განსაკუთრებით კი თურქეთთან საზღვრისპირა სოფლები, ტერიტორიულ საფრთხეებსაც შეიცავს).

აჭარის შიდარაიონულ ჭრილში ბიზნესის განვითარების შესწავლით ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ქედის, ხულოს, შუახევის და ხელვაჩაურის რაიონებია ეკონომიკურად ჩამორჩენილი და მათთან საჭიროა პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც მოსახლეობას დაამაგრებს ადგილზე და მიგრაციასაც შეაჩერებს. ასეთ ღონისძიებად მიჩნეულია მცირე და საშუალო ბიზნესის მასტიმულირებელი ბიზნეს-გარემოს შექმნა. ასეთი ბიზნესისთვის ყველა ზემოდასახელებულ რაიონში მოიძებნება ესა თუ ის რესურსი - მეცხოველეობა, მეციტრუსეობა, მაღლარი ვენახის გაშენება, მეაბრუმუმეობა, მეთამბაქოება, თხილის და კივის მოყვანა, სამკურნალწამლო გარეული მცენარეების და ხილ-კენკრის შეგროვება, მინერალური და წყაროს წყლების ჩამოსხმა, საოჯახო სასტუმროები, საოჯახო ტურიზმი და სხვა, - რომლითაც დაკავდება ადგილობრივი მოსახლეობა იმ შემთხვევაში, თუ აჭარის მთავრობა მათ ამის პირობებს შეუქმნის. სადისერტაციო ნაშრომის ამავე თავში დაწვრილებით არის აღწერილი თუ რა რესურსულ პოტენციალს ფლობს აჭარის ზღვისპირა და მთიანი მხარე და გამოკვეთილია ბიზნესის პრიორიტეტული მიმართულებები რაიონების მიხედვით. სპეციალიზაციის განსხვავებულობის მიუხედავად ყველა რაიონში

¹ *Функциональный анализ финансовых рынков, под. ред. Л. Колмиковой, М., 2005, с. 164.*

რეკომენდაცია აქვს მიცემული მცირე (და საშუალო) ბიზნესს, როგორც ნაკლები დანახარჯის მქონეს, მობილურს, ადვილად სამართავს და ა. შ.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი - *" ბიზნეს-ინკუბატორების მეშვეობით აჭარაში მეწარმეობის განვითარების კონცეფცია"*, როგორც დასახელება გვიჩვენებს, ეძღვნება აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნება-განვითარების გზით რეგიონში ბიზნესის მომავალი განვითარების ჩარჩო-მოდელის შემუშავებას.

ეს თავი 9 პარაგრაფისგან შედგება:

1. საერთო მდგომარეობის შეფასება.
2. ბიზნეს-ინკუბატორის საერთო დებულებები.
3. ბიზნეს-ინკუბატორის ცნება და სტატუსი.
4. ბიზნეს-ინკუბატორების განვითარება მსოფლიოში.
5. ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების მიზნები, ამოცანები და ძირითადი პრინციპები.
6. ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მუშაობის წესი.
7. ბიზნეს-ინკუბატორების მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნა;
8. ბიზნეს-ინკუბატორების დაფინანსების წყაროები;
9. აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნების და განვითარების კონცეფცია.

ყველა აქ ჩამოთვლილი კომპონენტის მნიშვნელობის მიუხედავად მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის მისი მე-9 კომპონენტი - *"აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნების და განვითარების კონცეფცია"*. ეს არის აჭარაში ბიზნესის განვითარების ჩარჩო-მოდელი, რომელიც თავის მხრივ, ითვალისწინებს აჭარაში სამი ქვეპროექტის განხორციელებას:

- **პირველი** - "ბიზნეს-ინკუბატორები ბათუმში", შესრულების სავარაუდო ვადა 2015 წელი;
- **მეორე** - "ბიზნეს-ინკუბატორები ქობულეთსა და ხელვაჩაურში", შესრულების სავარაუდო ვადა 2015 წელი;
- **მესამე** - "ბიზნეს-ინკუბატორები ქედასა, შუახევსა და ხულოში", შესრულების სავარაუდო ვადა 2015 წელი.

იმის მიუხედავად, რომ 2008 წელს გაეროს დაფინანსებით ბათუმში პროფესიული სწავლების ცენტრი ბიზნეს-ინკუბატორად გადაკეთდა, იგი ფასიანია (თვეში 225 დოლარი) და ამიტომ, იგი კლიენტებით არ არის განებივრებული. დღემდე, აქ მხოლოდ 11-მა მეწარმემ აიმაღლა კვალიფიკაცია, ისინიც არ იყვნენ დამწყები მეწარმეები.

ბიზნეს-ინკუბატორებში მოხდება დამწყებ მეწარმეთა (ძირითად მცირე და საშუალო მეწარმეთა) განთავსება და ბიზნესის დასაწყებად ყველა საჭირო ხარჯის რეგიონის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფარვა. 3-6 თვიანი მომზადების შემდეგ მეწარმეები დამოუკიდებლად იწყებენ მუშაობას.

ბიზნეს-ინკუბატორების გახსნის ინიციატორებად აჭარის დასახელებული რაიონების ადგილობრივი მართვის ორგანოები უნდა გამოვიდნენ.

ბათუმში თავდაპირველად მიზანშეწონილია ერთი საბაზო ბიზნეს-ინკუბატორის გახსნა. ქალაქში ახლადგახსნილ, ანდა გასახსნელად მზადმყოფ მცირე და საშუალო საწარმოებს, იგი მეთოდურ ხელმძღვანელობასაც გაუწევს, შემდეგ ეტაპზე ივარაუდება ქობულეთსა, ხელვაჩაურში და სხვა რაიონებში ბიზნეს-ინკუბატორების გახსნა. მაშასადამე, ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორს ორი ფუნქცია ექნება: პირველი ის, რომ აქ "გამოიჩქვებიან" და "გაიზრდებიან" ახლადგახსნილი მცირე საწარმოები და მეორე ის, რომ ის იქნება მეთოდური ცენტრი.

ბიზნეს-ინკუბატორების პროფილი ადგილობრივი მართვის ორგანომ უნდა განსაზღვროს იმ საჭიროებიდან გამომდინარე, რაც რაიონს აქვს. ქ. ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის ბიზნეს-ინკუბატორებს სასურველია შერეული პროფილი ჰქონდეთ ანუ მათში განთავსდეს სხვადასხვა პროფილის ბიზნეს-სუბიექტები (თუმცა, ამ რაიონებისთვის, როგორც სუბტროპიკული რაიონებისთვის, უპირატესად მაინც აგროფირმებს მოვიაზრებთ), ქედას, შუახევის და ხულოს ბიზნეს-ინკუბატორებს კი - სპეციალიზებული (მეცხოველეობის, ტურიზმის, მეფუტკრეობის, მეთამბაქოეობის აგროფირმები და სხვ.). ანუ აჭარის მთიანი რაიონების ბიზნეს-ინკუბატორები ძირითადად სასოფლო-სამურენო პროდუქციის წარმოების და მისი გადამუშავების ბიზნესზე უნდა დასპეციალიზდნენ. უპირატესობა იმპორტშემცველ და საექსპორტო პროდუქციის წარმოების ბიზნესს უნდა მიეცეს.

აჭარის რაიონებში ბიზნეს-ინკუბატორების დაფინანსების წყაროდ ადგილობრივ ბიუჯეტის სახსრებს და უცხოეთიდან შემოსულ გრანტებს მივიჩნევთ.

სადისერტაციო ნაშრომში გამოანგარიშებულია ერთი ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების და 3 თვის მანძილზე მუშაობის ხარჯი. 30 კლიენტ-საწარმოს განთავსების შემთხვევაში წელიწადში იგი შეადგენს 796100 დოლარს, ანუ ერთ კლიენტ-საწარმოზე ანგარიშით 26536 დოლარს. აჭარის ადგილობრივი მართვის ორგანოებმა უნდა შეძლონ ბიუჯეტში ამ მიზნით ამ თანხების გათვალისწინება. ყოველ 3-6 თვეში ინკუბატორებში "გამოზრდილი" ფირმები დამოუკიდებლად შეძლებენ მუშაობას და მოგების გადასახადის გადახდით 1-2 წელიწადში დაუფარავენ ბიუჯეტს მათზე ავანსად გაწეულ ამ დანახარჯს.

ამის გარდა, ამ ღონისძიების გატარებით აჭარაში განვითარდება ბიზნესი, ადგილზე გაჩნდება სამუშაო ადგილები, დასაქმდება მოსახლეობა, შეწყდება მიგრაცია და აჭარის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობა სიღარიბეს დააღწევს თავს.

აჭარის იმ რაიონების მუნიციპალიტეტებს, რომლებიც დაინტერესდებიან ბიზნეს-ინკუბატორების გახსნით, მიცემული აქვთ შეთავაზება პროექტები დაამუშავონ 6 ეტაპად:

1. მუშა-პროგრამის შედგენა;
2. ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება;
3. ბიზნეს-ინკუბატორების გახსნისთვის რესურსების განსაზღვრა;
4. ბიზნეს-ინკუბატორების გასახსნელად მეთოდისა და ტიპიურ დოკუმენტთა პაკეტის შედგენა და განთავსება ვებ-გვერდზე;
5. ფირმა-კლიენტების შერჩევა და მათთან ურთიერთობის ტექნოლოგიის დამუშავება;
6. ბიზნეს-ინკუბატორებისთვის შენობების გამოყოფა და მათი პრაქტიკული დაფუძნება.

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, ამ სამუშაოს დიდი ნაწილი ანალიტიკურ აზროვნებას და მეცნიერულ მიდგომას მოითხოვს, ამიტომ, მართვის ადგილობრივ ორგანოებს მიცემული აქვთ რეკომენდაცია, რათა ეს სამუშაო შეასრულონ მეცნიერებთან და ექსპერტებთან ერთად.

სადისერტაციო ნაშრომის ბოლოს მოცემულია ჩატარებული კვლევის შემაჯამებელი დასკვნები და გამოთქმულია კონცეპტუალური მოსაზრებები.

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში შეჯამებული სახით წარმოვადგენთ იმ ძირითად დასკვნებს, რომელთა გაკეთება შესაძლებელი გახდა ჩვენს მიერ აჭარის რეგიონში ჩატარებული მეწარმეობის კვლევის შედეგად. ისინი ეხება როგორც მეწარმეობის რეგიონული განვითარების თეორიულ ასპექტებს, ასევე პრაქტიკულ ასპექტებს. ეს დასკვნები ასეთია:

1. რეგიონის ცნების უნივერსალური განმარტება დღემდე არ არსებობს. მას სხვადასხვანაირად განმარტავენ ე. ბარათაშვილი, ს. ვეშაპიძე, ა. დობრინინი, ი. არჟენოვსკი, ი. მესხია და სხვები. სადისერტაციო ნაშრომში რეგიონად მიჩნეულია "გარკვეული ტერიტორიული წარმონაქმნი თავისი სპეციფიკური სამეურნეო კომპლექსით და ასევე მოსახლეობით".
2. რეგიონები ჯგუფდება განვითარებულ, განვითარებად, პრობლემურ (დეპრესირებულ) რეგიონებად. მათ ერთმანეთისგან განასხვავებს ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკის განვითარების დონე, კადრების კვალიფიკაციის დონე და ა. შ. ამ მიზეზებით მათ ერთმანეთისგან განსხვავებული განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ჰქონდეთ. აჭარის რეგიონი საქართველოს სხვა რეგიონების შუქზე (გარდა თბილისის რეგიონისა) განვითარებულ რეგიონად ითვლება, მაგრამ აჭარის რეგიონის შიგნით არსებული ქ. ბათუმი და ხულოს, ხელვაჩაურის, ქაბულეთის, შუახევის და ქედის რაიონები არაერთნაირად არიან განვითარებული; კერძოდ, ქ. ბათუმი განვითარებულია, ქობულეთი საშუალოდ განვითარებული, შუახევი, ხულო, ქედა და ხელვაჩაური კი - დეპრესირებული ანუ პრობლემური რაიონებია.
3. საზღვარგარეთის ქვეყნები ხელმძღვანელობენ რა მიდგომით "ძლიერი რეგიონები - ძლიერი ცენტრი და ძლიერი ცენტრი - ძლიერი რეგიონები", აქტიურად იკვლევენ რეგიონულ პრობლემებს და პრიორიტეტულ დაფინანსებას აძლევენ პრობლემურ რეგიონებს (მაგ. დიდ ბრიტანეთში - შოტლანდიას და უელსს, გერმანიაში აღმოსავლეთის მიწებს, შვედეთში ჩრდილოეთის რაიონს და ა. შ.).

ამას ისინი აკეთებენ განუვითარებელი რეგიონების გამოთანაბრებისთვის. ამის მიუხედავად უნდა აღვნიშნოთ, რომ საზღვარგარეთ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ერთიანი, ტიპური მეთოდოლოგია არ არის შემუშავებული და თითოეული ქვეყანა მას თავისი ეკონომიკური სტრატეგიიდან და რეგიონების რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე ატარებს. ჩვენი აზრით, ასეთი ერთიანი პოლიტიკის არსებობა არც არის საჭირო, რადგან თითოეულ ქვეყანას და მის რეგიონებს სხვა ქვეყნისა და სხვა რეგიონისგან განსხვავებული შესაძლებლობები და საჭიროებები გააჩნია.

4. მოსახლეობის მდგომარეობას სოციალურ სივრცეში განსაზღვრავს მათ ხელთ არსებული ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ინტელექტუალური კაპიტალი. რეგიონს თავისი სოციალური სივრცე გააჩნია. რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ერთი ნაწილი (ელიტა) ფლობს დიდ კაპიტალს და მათ თავისი მატერიალური შესაძლებლობით მეწარმეობის დაფინანსებაც შეუძლიათ და მთავრობის დონეზე მისი ლობირებაც. მეორე ნაწილი არის მცირე კაპიტალის მქონე მოსახლეობა, რომელიც ბიზნესს ვერ იწყებს ბანკის სესხის გარეშე, მესამე ნაწილი კი არის ღარიბი მოსახლეობა. მეწარმეობის რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას ორიენტირად უნდა იქნეს მიჩნეული რეგიონის მოსახლეობის მეორე ფენა, ანუ მცირე და საშუალო მეწარმეები და სახელმწიფომ მათ მიმართ უნდა გაატაროს მასტიმულირებელი პოლიტიკა.
5. ბიზნესის სფეროში ჩართულ ადამიანთა ფენის განსაზღვრის მიზნით ხმარებაშია ტერმინი "ბიზნეს-შრე". იგი აერთიანებს ყველა ადამიანს, რომელიც კი ბიზნესში არის დასაქმებული (მეწარმეები, მენეჯერები, დაქირავებულები და ა. შ.). საქართველოში ბიზნეს-შრე მოიცავს მოსახლეობის 8,6%-ს, უნგრეთში 18,5%-ს. ბიზნეს-შრის დაბალი მაჩვენებელი საქართველოს ჩამორჩენილობაზე მეტყველებს. საქართველოს რეგიონებში ბიზნეს-შრე შესწავლილი არ არის.
6. რეგიონულ ჭრილში საქართველოში 2008-2012 წლებში ბიზნესის განვითარების მაჩვენებლები ასეთია:
 - რეგისტრირებულ ბიზნეს-სუბიექტთა რიცხვი გაზრდილია 1239887 ერთეულამდე, მაგრამ აქედან დაახლოებით 70% არ მუშაობს (მოქმედ საწარმოთა სიას საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი ამ ბოლო წლებში აღარ აქვეყნებს);

- სამეწარმეო ბრუნვა გაზრდილია - 4,2-ჯერ, მათ შორის მსხვილ საწარმოებში - 4,5-ჯერ, საშუალო საწარმოში - 2,8-ჯერ, მცირე საწარმოებში - 3,4-ჯერ. აჭარას ბრუნვის ზრდის მაჩვენებლით თბილისის (4,9-ჯერ) შემდეგ მეორე ადგილი (4-ჯერ უკავია);
- ბიზნესში დასაქმებულთა რიცხვი გაზრდილია - 37,4%-ით, მათ შორის აჭარის რეგიონში - 48,9%-ით;
- მეწარმეობის დარიცხული ფინანსური შედეგი (მოგება) 2005-2012 წლებში 5,9-ჯერ არის გაზრდილი, მათ შორის აჭარაში 5-ჯერ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა სამეწარმეო სუბიექტი მომგებიანია. მრავალი ობიექტი, ხშირად, ზარალით ამთავრებს სამეურნეო წელს.

7. საზღვარგარეთის პრაქტიკით რეგიონში მეწარმეობის განვითარება იქ არსებულ მოსახლეობის რიცხვს უნდა დაუკავშირდეს. აჭარის რეგიონში მოსახლეობა ასეა განაწილებული:

- ქ. ბათუმში - 31,1%
- ქობულეთის რაიონი - 23,4%
- ხელვაჩაურის რაიონი - 24,1%
- ქედის რაიონი - 5-8%
- შაუხევის რაიონი - 6%
- ხულოს რაიონი - 8,2%

რაც შეეხება სამეწარმეო ბრუნვას, მისი სტრუქტურა ასე წარმოგვიდგება:

- ქ. ბათუმი - 76,8%
- ქობულეთის რაიონი - 13,4%
- ხელვაჩაურის რაიონი - 9,2%
- ქედის რაიონი - 2,5%
- შაუხევის რაიონი - 2,9%
- ხულოს რაიონი - 2,4%

ამ ინფორმაციით ვასკვნით, რომ აჭარის რეგიონში მეწარმეობის განვითარების ძირითადი კანონზომიერება დარღვეულია. ბათუმში ცხოვრობს მოსახლეობის - 31,1%, მაგრამ მასზე მოდის აჭარის სამეწარმეო ბრუნვის - 76,8%, ქობულეთში ცხოვრობს მოსახლეობის - 23,4%, მაგრამ მასზე მოდის აჭარის სამეწარმეო ბრუნვის მხოლოდ - 13,4%. უფრო ცუდი მდგომარეობაა ხელვაჩაურსა,

ქედსა, შუახევსა და ხულოსში. შედეგად, ქ. ბათუმი სამეწარმეო თვალსაზრისით განვითარებულია, ქობულეთი საშუალოდ განვითარებული, დანარჩენი რაიონები კი ჩამორჩენილი (პრობლემურია) რაიონებია.

8. იგივე დასკვნას ვაკეთებთ მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებული სამეწარმეო ბრუნვის მაჩვენებლითაც. ბათუმში იგი 10927 ლარია (2012 წ.), ქობულეთში - 3428 ლარი, ხელვაჩაურსა, ქედსა და შუახევში საშუალოდ - 2500 ლარი, ხოლო ხულოს რაიონში მხოლოდ - 1593 ლარი. ეს იმას ნიშნავს აჭარაში მეწარმეობის განვითარების შიგარაიონული (შიგარაიონული) პოლიტიკა აუცილებლად შესაცვლელია და იგი დეპრესირებულ რაიონებისთვის პრიორიტეტების მიცემაზე უნდა იყოს ორიენტირებული.
9. ზოგადად სასურველია (და არა აუცილებელი), რომ რეგიონი თავისი საქირიებისთვის თვითკმარ პროდუქციას აწარმოებდეს. აჭარის რეგიონში საკუთარი წარმოება სამეწარმეო ბრუნვას უზრუნველყოფს:
 - მთლიანად რეგიონში - 64,8%-ით
 - ქ. ბათუმში - 81,7%-ით
 - ქობულეთის რაიონში - 35%-ით
 - ხელვაჩაურის რაიონში - 48%-ით
 - ქედის რაიონში - 16,2%-ით
 - შუახევის რაიონში - 5%-ით
 - ხულოს რაიონში - 9,4%-ით
10. ასე რომ, აჭარის რეგიონშიც მთლიანად და მის რაიონებშიც, სამეწარმეო ბრუნვა მეტ-ნაკლებად გაზრდილია, მაგრამ მასში დიდი წილით იმპორტული საქონელი მონაწილეობს, რომელიც მოგებასაც და სხვა სიკეთესაც (მაგალითად, დასაქმება) არა აჭარას, არამედ ექსპორტიორ ქვეყნებს აძლევს. მაგალითად, შუახევის რაიონში შესრულებული სამეწარმეო ბრუნვას ადგილობრივი საქონელი მხოლოდ 5%-ით უზრუნველყოფს, ხულოს რაიონში 9,4%-ით, ქედის რაიონში - 16,2%-ით, ქობულეთში - 35%-ით და ა. შ.
11. აჭარის სამეწარმეო ბრუნვაში მცირე საწარმოებს მხოლოდ - 18,2% უკავიათ, საშუალო სიდიდის საწარმოებს - 11%, ხოლო მსხვილ საწარმოებს - 70,8%. ეს მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში დომინირებული მდგომარეობა მცირე საწარმოებს უკავიათ (იაპონია 55%, საფრანგეთი - 45%, ესპანეთი - 64%). აჭარა

თავისი სანედლეულო ბაზით და მთაგორიანი რელიეფით, რომელიც ართულებს სატრანსპორტო კავშირებს, სწორედ მცირე ბიზნესის განვითარებისთვის არის პერსპექტიული. მთიან სოფლებში, განსაკუთრებით საზღვრისპირა (თურქეთთან საზღვარი) სოფლებში ადგილზევე უნდა დასაქმდეს მოსახლეობა, რომ არ დაიცალოს მოსახლეობისგან ეს სოფლები.

12. აჭარაში სამეწარმეო საქმიანობაში დასაქმებულ მოსახლეობას უკავია მთელი მოსახლეობის - 11,3% (8%-ს შეადგენდა ეს მაჩვენებელი 2005 წელს). აბსოლუტურ ციფრებში ეს 44691 კაცია. ე. ი. აჭარის ბიზნეს-შრე 44691 კაციანია. რადგან ბიზნეს-შრის წარმომადგენლები უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა, აჭარის მთავრობამ სასურველი ბიზნეს-გარემოს შექმნით უნდა წახალისოს მათი ზრდა. ეს პროცესი უფრო აქტიურად უნდა გატარდეს ხულოში, ხელვაჩაურში, ქობულეთში და ქედასა და შუახევში, სადაც ბიზნეს-შრის მაჩვენებელი - 3,2%-დან 7,7%-ის ფარგლებში მერყეობს.
13. 2005-2012 წლებში აჭარაში სამეწარმეო საქმიანობის სახეებიდან ყველაზე მეტად განვითარებულია საფინანსო შუამავლობა (ზრდა 11,8-ჯერ), განათლების სფერო (ზრდა 10,30ჯერ), მშენებლობა (ზრდა 6,3-ჯერ), ოპერაციები უძრავი ქონებით (ზრდა 6,6-ჯერ) და თევზჭერა (ზრდა 6-ჯერ). ყველაზე ნაკლებად განვითარებულია სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყვეობა (ზრდა 3,4-ჯერ), ანუ ის დარგი, რომელიც ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად უნდა განვითარებულიყო. აჭარის დეპრესირებულ რაიონებში - ხულოში, ქედაში, ხელვაჩაურსა და შუახევში და სწორედ ამ სფეროს განვითარებას უნდა გამოეყვანა ეს რაიონები ჩამორჩენილობიდან. ასეთი გადაწყვეტილებით მოსახლეობის ადგილზე დასაქმებაც მოხდებოდა და ამ რაიონების ეკონომიკური ზრდაც ამაღლდებოდა. აღნიშნულ რეგიონებს ამისი პოტენციალი ნამდვილად გააჩნიათ.
14. მთლიანად აჭარას ტურიზმის ყველა სახის (დასასვენებელი, სამკურნალო, სამონადირეო, თევზჭერის, საცხენოსნო და ა. შ.) განვითარების უაღრესად კარგი პირობები გააჩნია. ეს ეხება მთასაც და ბარსაც. მთის სოფლებში განსაკუთრებით ხელი უნდა შეეწყოს საოჯახო ტურიზმის განვითარებას. ოჯახს ამან ხელი არ უნდა შეუშალოს მისთვის ოდითგანვე დაკანონებული

წესით ცხოვრებაში. უცხოელი ტურისტები სწორედ ასეთ ოჯახებს აძლევენ უპირატესობას და ისინი ინტერესით ეცნობიან მათ ცხოვრებას.

15. პირველი და აუცილებელი, რაც აქამდეც უნდა გაკეთებულიყო და ეხლა მაინც უნდა გაკეთდეს, ეს არის ისეთი სამთავრობო ღონისძიების გატარება, რომელსაც ბიზნეს-ინკუბატორების გახსნა ეწოდება. ეს იქნება სტრუქტურა, სადაც დამწყები მეწარმეები უფასოდ ისწავლიან ბიზნესის კეთებას და 3-6 თვის შემდეგ დამოუკიდებლად გააგრძელებენ ამ საქმეს. სწავლების პერიოდში ყველა ხარჯს ადგილობრივი მთავრობა იღებს თავის თავზე.
16. ჩვენ, სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში წარმოვადგინეთ აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო-მოდელი მათი რაოდენობის, ტიპების, განთავსების ადგილების და დანახარჯების ჩვენებით. მიგვაჩნია, რომ:
 - აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნების ინიციატორები ადგილობრივი მართვის ორგანოები უნდა იყვნენ და აქ "ინკიბაცია" უფასო უნდა იყოს;
 - ეს პროექტი უნდა დაიყოს სამ ნაწილად: 1. ბათუმის პროექტი სახელწოდებით "ბიზნეს-ინკუბატორები ბათუმში"; 2. ქობულეთი-ხელვაჩაურის პროექტი სახელწოდებით: "ქობულეთი-ხელვაჩაურის ბიზნეს-ინკუბატორები"; 3. ქედა-შუახევი-ხულოს პროექტი სახელწოდებით: "ქედა-შუახევი-ხულოს ბიზნეს-ინკუბატორები". ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორები უნდა იყოს საბაზო, რაც იმას ნიშნავს აქ მომზადებას გაივლიან არა მხოლოდ ქ. ბათუმის პოტენციალური მეწარმეები, არამედ, იგი მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს ქობულეთი-ხელვაჩაურის და ქედა-შუახევი-ხულოს ბიზნეს-ინკუბატორებსაც;
 - ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორი სასურველია დაკომპლექტდეს კვების, ქიმიური მრეწველობის, ტურიზმის, წამლების, ტყავის და სამკერვალო ნაწარმის პროფილის კლიენტურით, ქობულეთის და ხელვაჩაურის - სასოფლო-სამეურნეო პროფილის (მეციტრუსეობა, მეჩაიოობა), ტურიზმის საოჯახო სასტუმრო მეურნეობის პროფილის კლიენტებით, ქედა-შუახევი-ხულოს ბიზნეს-ინკუბატორები კი მეცხოველეობა, მეთამბაქოობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, საშენი მასალებისწარმოების და ა.შ.

იმისათვის, რომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ წარმოდგენილი კონცეფციის დებულებები აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნება-განვითარების საფუძველი გახდეს, მართებულად მოგვაჩნია რეგიონის ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების მხრიდან, მათი აღიარება და შემდეგი ძირითადი ღონისძიებების გატარება:

1. აჭარის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ადგილობრივი მართვის ადმინისტრაციულ აპარატში ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობის მარეგულირებელი სტრუქტურის შექმნა;
2. ბიზნეს-ინკუბატორების შესაქმნელად მეთოდისა და მუშა-პროგრამის შედგენა და ბიზნეს-ინკუბატორებისთვის პროფილის შერჩევა;
3. ბიზნეს-ინკუბატორების შესაქმნელი სადამფუძნებლო დოკუმენტების პაკეტის შექმნა; ბიზნეს-ინკუბატორების შექმნისა და განვითარების სტიმულირების მექანიზმის შემუშავება და რეალიზაცია;
4. განაცხადებისა და თხოვნების მომზადება ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც საქართველოში ტექნიკური დახმარების პროგრამებს განახორციელებენ აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორებისთვის საჭირო გრანტების გამოყოფის შესახებ;
5. იმ დამატებებისა და ცვლილებების პროექტის მომზადება, რომლებიც უნდა შევდიეს საქართველოს საკანონმდებლო აქტებში ბიზნეს-ინკუბატორებთან მიმართებაში და მათი წარდგენა მთავრობაში;
6. იმ სამეცნიერო სიახლეების (დაპატენტებული) ნუსხის შედგენა, რომელიც შექმნილია საქართველოს, მ. შ. აჭარის სამეცნიერო პოტენციალის მიერ და რომელთა კომერციალიზაცია ძალუძთ აღნიშნული რეგიონის ბიზნეს-ინკუბატორებს;

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის მხარეებსა და მათში შემავალ დასახლებულ პუნქტებს განვითარების სხვადასხვა დონეები გააჩნიათ: ზოგს მაღალი, ზოგს - დაბალი. ასეა აჭარაც, რომლის ბარის ზონის დასახლებული პუნქტები (ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური) უფრო მაღალშემოსავლიანია, ვიდრე მთის რაიონები (ხულო, ქედა, შუახევი). ბიზნეს-ინკუბატორები იმ საშუალებად გვესახება, რომელთა მეშვეობით, აჭარის რეგიონების განვითარების დონეების ერთგვარი გამოთანაბრება მოხდება. სწორედ ამიტომ, ბიზნეს-

ინკუბატორების ჩვენ მიერ წარმოდგენილი კონცეფცია უნდა იქცეს აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების მთავრობისეულ სტრატეგიად და მისი მეშვეობით აჭარაში მეწარმეობის განვითარების ძირითად საყრდენ პირობად.

ავტორის მიერ მომზადებულია და დაცულია:

1. თემატური სემინარი I - „ბიზნეს ოპერაციები“
2. თემატური სემინარი II - „ინვესტიციური ანალიზის სისტემები და მეთოდები“
3. კოლოქვიუმი №1 - „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“
4. კოლოქვიუმი №2 - „ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა აჭარის რეგიონში“
5. კოლოქვიუმი №3 - „აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორების მეშვეობით მეწარმეობის განვითარების კონცეფცია“

სადისერტაციო თემაზე ავტორის მიერ გამოქვეყნებულია შემდეგი ძირითადი შრომები:

1. ჩერქეზიშვილი დ. რეგიონული სოციალური სივრცე და ბიზნეს-გარემო, როგორც რეგიონში მეწარმეობის განვითარების საფუძველი,
2. ჩერქეზიშვილი დ. საქართველოში ბიზნესის განვითარების რეგიონული ასპექტები,
3. ჩერქეზიშვილი დ. აჭარაში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების პერსპექტივები,
4. ჩერქეზიშვილი დ. აჭარის რესურსული პოტენციალი და მის ბაზაზე ბიზნესის პრიორიტეტულ მიმართულებათა გამოკვეთა,